ქ. თეთრიწყარო

ბრძანება:**ბ124. 124241567**
თარიღი:**04/06/2024**

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარების მიზნების ლოკალიზების ჩარჩო დოკუმენტის შესამუშავებლად სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“, და „ე.ვ“ ქვეპუნქტების, სოფლის მეურნეობისა და ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის სამსახურის უფროსის ამა წლის 28 მაისის #05-1242414962 წერილის და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2024 წლის 31 მაისის # 125-125241523 წერილის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.შეიქმნას სამუშაო ჯგუფი თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარების მიზნების ლოკალური დოკუმენტის შესამუშავებლად შემდეგი შემადგენლობით.

-დევიკო მუხაშავრია - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე. სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი;

-ჯემალ წურწუმია - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი. სამუშაო ჯგუფის წევრი;

-ეკატერინე აფციაური - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი. სამუშაო ჯგუფის წევრი.

-ზურაბ დალაქიშვილი - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე.

სამუშაო ჯგუფის წევრი;

-ვაჟა სულხანიშვილი - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის განათლების კულტურის სპორტისა და ახალგაზრდული საქმეთა სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი. სამუშაო ჯგუფის წევრი;

-ედუარდ სარქისიანი - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის უფროსის ფუნქციების დროებით შემსრულებელი, სამუშაო ჯგუფის წევრი;

-კლიმენტი იოსელიანი - ა.ა.ი.პ თეთრიწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრის დირექტორი. სამუშაო ჯგუფის წევრი;

-ფიქრია მეშველიანი - ა.ა.ი.პ თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა - განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრის დირექტორი. სამუშაო ჯგუფის წევრი;

2. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა ნინო სარდლიშვილმა უზრუნველყოს ბრძანების საჯაროდ გამოქვეყნება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სამოქალაქო საზოგადოების ინფორმირებისათვის.

3.თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულმა სამსახურმა უზრუნველყოს ბრძანების გაცნობა პირველ პუნქტში მითითებული პირებისათვის.

4.ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

5.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში, (ქ. თეთრიწყარო, კოსტავას ქ.# 11) .

გიორგი წიკლაური

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი